საკრებულოს წევრის საქმიანობის

წლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის დასახელება: ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: ნატალია ზოიძე

საკრებულოში დაკავებული თანამდებობა: საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, თავმჯდომარე

ფრაქციის წევრობა: ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

კომისიის (კომისიების) წევრობა: 1. ინფრასტუქტურის განვითარების კომისია

2. იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

არჩევის წესი (მაჟორიტარის შემთხვევაში ოლქის მითითებით): მაჟორიტარი, 79-ე ოლქი

საანგარიშგებო პერიოდი: 2019 წელი

განხორციელებული საქმიანობები:

1. საკრებულოს სხდომების რაოდენობა, რომლებშიც მონაწილეობდა ანგარიშის წარმდგენი: 12 სხდომა

2. საკრებულოს ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა: 115 საკითხი

3. საკრებულოს კომისიების სხდომების რაოდენობა, რომელშიც მიღო მონაწილეობა ანგარიშის წარმდგენმა:

ა) ინფრასტუქტურის განვითარების კომისია: 10 საკითხი

ბ) იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია: 13 საკითხი

---

5. კომისიების მიერ ამ სხდომებზე განხილული საკითხების რაოდენობა

ა) ინფრასტუქტურის განვითარების კომისია: **28 საკითხი**

ბ) იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია; **122 საკითხი**

---

6. ანგარიშის წარმდგენის მიერ საკრებულოში ინიცირებული საკითხები:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ (5/03/2019 წ.№20 განკარგულება);

ბ) ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში, მოტოციკლით, კვადროციკლით და ელექტრომობილით (ელექტროტრანსპორტით) გადაადგილების წესის დამტკიცების შესახებ" ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 5 მარტის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (24/05/2019 წ.#13 დადგენილება).

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა: **123 შეხვედრა**

8. ამ შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა: **665 მოქალაქე**

9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოკვეთილი ძირითადი საკითხები:

- ეზოს კეთილმოწყობასთან დაკავშირებული საკითხები;
- პარკირების საკითხები;
- სტადიონის მონტაჟი/დემონტაჟის საკითხები;
- შესახვევების კეთილმოწყობა;
- ელექტროგადამცემი ბოძების რეაბილიტაცია/მონტაჟი;

- სანიაღვრე ქსელთან დაკავსირებული საკითხები;
- გამწვანების საკითხები;
- „ხელმისაწვდომი საცხოვრისის“ საკითხები;
- ავარიული სახლის საკითხი;
- მშენებლობებით გამოწვეული სამეზობლო დავები;
- ინვესტორების მოზიდვის საკითხი;
- ამხანაგობების საკთხები;
- ჯანდაცვის საკითხები;
- მატერიალური დახმარების საკითხები;
- მრავალშვილიანი ოჯახის ფართით უზრუნველყოფის საკითხი;
- დეზისენქცია/დერატიზაციის თემები;
- მაწანწალა ცხოველებით გამოწვეული პრობლემები;
- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის საკითხები;

10. სხვა განხორციელებული საქმიანობები:

- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“ კომისიის წევრი.
- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი“, ღონისძიების „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ კომისიის წევრი.
- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ კომისიის წევრი.
- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „საგანმანათლებლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“ წევრი.
- ✓ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ხელოვანთა ხელშეწყობა“ ღონისძიების „საერთაშორისო კულტურულ პროექტებში მონაწილეთა დაფინანსება“ კომისიის წევრი.
- ✓ ჩავატარე ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ 17 სხდომა;
- ✓ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 4 სხდომა;

მივიღე მონაწილეობა:

- ✓ საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაციის (MSPA) მიერ ორგანიზებულ საქართველოს საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მეექვსე ყოველწლიურ კონფერენციაში.

- ✓ საჯარო განხილვაში ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში.

- ✓ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ქალთა ლიდერობის ტრენინგში.

- ✓ ნორვეგიისა და საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებათა ასოციაციების თანამშრომლობის პროგრამის შემაჯამებელ კონფერენციაში, სადაც განხილული იქნა ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების კუთხით საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისა და მუნიციპალიტეტთა შორის თანამშრომლობის საკითხები.

- ✓ NDI-ის პროექტის "პლურალიზმისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა ადგილობრივ დონეზე" შემაჯამებელ საჯარო განხილვაში თემაზე: "ბათუმის ურბანული პოლიტიკის მეტი გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება".

- ✓ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის დიმიტრი ცქიტიშვილის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაში „საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა, საკანონმდებლო ინიციატივები და სამომავლო გეგმები".

- ✓ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის რატი იონათამიშვილის მიერ (ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დახმარებით) ორგანიზებულ საკომიტეტო მოკვლევას „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე წვდომა".

- ✓ სოლიდარობის ცენტრის გენდერული ფორუმის ტრენინგში: „გენდერული თანასწორობა შრომით ურთიერთობებში".

- ✓ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენციას „ბათუმის ბულვარი-წარსული და თანამედროვეობა".

- ✓ სხვადასხვა ეროვნულ, კულტურულ, საგანმანათლებლო, გარემოსდაცვით თუ სპორტულ ღონისძიებებში;

- ✓ საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებზე ვთანამშრომლობდი მასმედიის წარმომადგენლებთან. კერძოდ:

  აჭარის ტელევიზია: გადაცემები „თვითმმართველობის საათი“, „სათქმელი“,;
  25-ე არხი: გადაცემა „საზოგადოებრივი აზრი“.
  აჭარის რადიო;
  გაზეთები: „აჭარა“, „ბათუმელები“.

შედეგი, ეფექტი:

● სულაბერიძის ქუჩიდან მელიქიშვილის ქუჩამდე დასრულდა გიორგი ბრწყინვალის ქუჩის სრული რეაბილიტაცია, (გამოიცვალა მიწისქვეშა საკომუნიკაციო საშუალებები, მოეწყო თანამედროვე სტანდარტებით ადაფტირებული ფეხით სავალი ნაწილი და დაეგო ასფალტის საფარი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დარჩენილი ნაწილის სრული რეაბილიტაცია.

● სრულდება ჯავახიშვილის ქუჩაზე, პუშკინის ქუჩის კვეთიდან ტბ.აბუსერიძის ქუჩის კვეთამდე მიწისქვეშა საკომუნიკაციო სამუშაოები კოლექტორის მოსაწყობათ. მოეწყობა თანამედროვე სტანდარტებით ადაფტირებული ფეხით სავალი ნაწილი და დაეგება ასფალტის საფარი.

● სრულდება ტბ.აბუსერიძის ქუჩაზე, ლორიას ქუჩის კვეთიდან ჯავახიშვილის ქუჩის კვეთამდე მიწისქვეშა საკომუნიკაციო სამუშაოები კოლექტორის მოსაწყობათ. მოეწყობა თანამედროვე სტანდარტებით ადაფტირებული ფეხით სავალი ნაწილი და დაეგება ასფალტის საფარი.

● დაიდგა კორპუსების ეზოში ფანჩატურები და საბაღე სკამები, ხოლო დაზიანებულ ფანჩატურებს ჩაუტარდა რესტავრაცია.

● კორპუსების ეზოში მოეწყო სასმელი წყლის შადრევნები.

● ქვეითთა გადასასვლელებზე უსაფრთხოების მიზნით მოეწყო და პერიოდულად ეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები.

● ტბ. აბუსერიძის ქ. N3/9 მერიის პროგრამით გამოიცვალა და გაკეთდა საკანალიზაციო სისტემა.

● ყველა დაზიანებული სტადიონი, სავარჯიშო ტრენაჟორები და ბავშვთა გასართობი ატრაქციონები შესწავლილი იქნა და ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია ახლო მომავალში.

● გიორგი ბრწყინვალის ქუჩის კვეთიდან ჭავჭავაძის ქუჩამდე მოეწყო თანამედროვე სტანდარტებით - ჯავახიშვილის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, თაყაიშვილის, სელიმ ხიმშიაშვილის, ჰაიდარ აბაშიძის, მელიქიშვილის და 26 მაისის ქუჩები.

- დაირგო 26 ძირი ხე ბესიკის და 26 მაისის ქუჩაზე, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე

განხორციელებული საქმიანობების შედეგად მიღებული შედეგი, მაგ. ანგარიშის წარმდგენის მიერ ინიცირებული რამდენი პროექტი იქნა მიღებული საკრებულოს მიერ, რა შესრულდა ამომრჩევლის წინაშე აღებული ვალდებულებებიდან

შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტები:

- დატბორვის მინიმიზაცია;
- საგზაო ქსელის გამტარუნარიანობა;
- ავარიული სახლების რეაბილიტაცია/დემონტაჟი;
- ხელმისაწვდომი საცხოვრისით უზრუნველყოფა;
- გამწვანება/დასუფთავება;
- სპორტული ინფრასტრუქტურის მოვლა/პატრონობა;
- ჯანდაცვის სერვისებზე წვდომის მხარდაჭერა;
- სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა;
- მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა;

6.